




# მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

თებერვალი, 2025


- 2025 წლის იანვარში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა 11.1 პროცენტი, ხოლო 2024 წლის საშუალო ზრდა 9.5 პროცენტზე დაფიქსირდა
- თებერვალში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 2.4 პროცენტი და საბაზო ინფლაცია გაუტოლდა 2.1 პროცენტს
- იანვარში ექსპორტი გაიზარდა წლიურად 19.3 პროცენტით და იმპორტი გაიზარდა წლიურად 45.5 პროცენტით, რამაც სავაჭრო დეფიციტი 57.2 პროცენტით გაზარდა წლიურად და გაუტოლდა 1200 მლნ აშშ დოლარს
- იანვრის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი გაუფასურდა 7.1 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 1.6 პროცენტით წინა თვესთან შედარებით
- თებერვალში საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8 პროცენტზეა
- თებერვლის ბოლოსთვის, საქართველოს სუვერენული რეიტინგები შემდეგია:
  - Fitch „BB ნეგატიური“
  - S&P „BB სტაბილური“
  - Moody’s „Ba2 სტაბილური“

# წინასწარი შეფასებით იანვარში ეკონომიკურმა ზრდამ 11.1 პროცენტი შეადგინა

ეკონომიკური ზრდა, % წ/წ




ეკონომიკური ზრდა, % თ/თ




- წინასწარი შეფასებით, 2025 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 11.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო სეზონურად მოსწორებულმა ეკონომიკურმა ზრდამ იანვარში წინა თვესთან შედარებით 2.7 პროცენტი შეადგინა. 2024 წლის ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 9.5 პროცენტია.
- 2025 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები, ტრანსპორტი და დასაწყობება, მშენებლობა, ინფორმაცია და კომუნიკაცია, დამამუშავებელი მრეწველობა და ვაჭრობა.

ეკონომიკური ზრდა 2025-2019



# 2024 წლის მესამე კვარტალში რეალური მშპ საშუალოდ გაიზარდა 11.0 პროცენტით

მშპ-ს რეალური ზრდა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2024 III კვარტალი




- წინასწარი შეფასებით, 2024 წლის მესამე კვარტალში ზრდა დაფიქსირდა 11.0 პროცენტზე, ხოლო პირველ 2 კვარტალში 8.7 და 9.7 პროცენტით გაიზარდა ეკონომიკა. მესამე კვარტალში 2019 წლის მესამე კვარტალთან შედარებით 39.1 პროცენტთან ზრდას აქვს ადგილი.
- 2024 წლის მესამე კვარტალში მშპ-ს რეალური ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა:
  - მშენებლობა: 30.9 % (2.0 პ.პ.)
  - ინფორმაცია და კომუნიკაცია: 32.8 % (2.1 პ.პ.)
  - საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი: 11.0 % (1.6 პ.პ.)
  - განათლება: 35.6% (1.5 პ.პ.)
  - საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები: 22.9 % (1.1 პ.პ.)
  - სახელმწიფო მმართველობა: 14.7 % (0.9 პ.პ.)
- კლების მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა:
  - უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები: -4.9% (-0.4 პ.პ.)
  - ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება: -13.6% (-0.5 პ.პ.)

მშპ ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2024 III კვარტალი




# თეგერგლის წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 2.4 პროცენტი


## მთლიანი და საბაზო ინფლაცია, % წ/წ




## საბაზო ინფლაცია



## ინფლაციის დეკომპოზიცია




## ინფლაციის დეკომპოზიცია




წყარო: საქსტატი, სებ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

# სავაჭრო დეფიციტი იანვარში წლიურად გაიზარდა 57.2 პროცენტით


ადგილობრივი ექსპორტის ცვლილება, % წ/წ




იმპორტის ცვლილება, % წ/წ



ექსპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ




იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ




- იანვარში ექსპორტი წლიურად გაიზარდა 19.3 პროცენტით და გაუტოლდა 403.9 მლნ აშშ დოლარს.
- ადგილობრივი ექსპორტი წლიურად გაიზარდა 11.6 პროცენტით და გაუტოლდა 186.3 მლნ აშშ დოლარს.
- იმპორტი წლიურად გაიზარდა 45.5 პროცენტით და გაუტოლდა 1 604.2 მლნ აშშ დოლარს.
- სავაჭრო დეფიციტი წლიურად გაიზარდა 57.2 პროცენტით და გაუტოლდა 1 200.4 მლნ აშშ დოლარს.
- რეექსპორტის წვლილმა ექსპორტის ზრდაში შეადგინა 13.5 პროცენტი (26.7 %წ/წ), ხოლო ტრადიციული საქონლის ექსპორტმა შეიტანა 0.9 პროცენტის წვლილი (7.2 %წ/წ).
- საინვესტიციო, შუალედური და სამომხმარებლო საქონლის იმპორტის წვლილმა იმპორტის წლიურ ზრდაში შეიტანა -5.9, 2.0 და 49.4 პროცენტი, შესაბამისად.

წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ექსპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი ექსპორტის %



ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, იანვარი




**ექსპორტის ტოპ საქონელი:**

- მსუბუქი ავტომობილები: 130.0 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 32.2 პროცენტი.
- ეთილის სპირტი: 14.3 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 3.5 პროცენტი.
- მადნები და კონცენტრატები ძვირფასი ლითონის: 13.8 მლნ აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 3.4 პროცენტი.


**იმპორტის ტოპ საქონელი:**

- სურათები, ნახატები და პასტელები: 481.1 მლნ აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 30.0 პროცენტი.
- მსუბუქი ავტომობილები: 151.0 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 9.4 პროცენტი.
- ნავთობი და ნავთობპროდუქტები: 106.9 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 6.7 პროცენტი.

იმპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი იმპორტის %



იმპორტი ქვეყნების მიხედვით, იანვარი



**ექსპორტის ტოპ ქვეყნები:**


- ყირგიზეთი: 74.9 მლნ. აშშ დოლარი, - 18.5 პროცენტი.
- ევროკავშირი: 53.3 მლნ. აშშ დოლარი - 13.2 პროცენტი.
- აზერბაიჯანი: 46.2 მლნ. აშშ დოლარი, - 11.4 პროცენტი.

**იმპორტის ტოპ ქვეყნები:**

- აშშ: 357.3 მლნ. აშშ დოლარი, - 22.3 პროცენტი.
- გაერთიანებული სამეფო: 266.9 მლნ. აშშ დოლარი - 16.6 პროცენტი.
- ევროკავშირი: 261.7 მლნ. აშშ დოლარი, - 16.3 პროცენტი.

# 2025 წლის იანვარში დაფიქსირდა წმინდა ფულადი გზავნილების 10.4 პროცენტული კლება

წმინდა ფულადი გზავნილები, 2025-2019




წმინდა ფულადი გზავნილები, იანვარი 2025

ქვეყანა	წმინდა ფულადი გზავნილები (მლნ აშშ დოლარი)	ცვლილება, %წ/წ	წვლილი ზრდაში, კპ
აშშ	46.2	24.2	3.8
იტალია	45.2	3.3	0.6
რუსეთი	22.4	-65.2	-17.5
ისრაელი	20.7	19.1	1.4
გერმანია	18.4	17.6	1.2
საბერძნეთი	17.2	-0.3	0.0
სხვა	44.1	1.4	0.3

- 2025 წლის იანვარში წმინდა ფულადმა გზავნილებმა შეადგინა 214.2 მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 10.4 პროცენტით ნაკლებია, ხოლო 2019 წელთან შედარებით 113.8 პროცენტით მეტია.

- წმინდა ფულადი გზავნილები გაიზარდა:
  - აშშ: 24.2 პროცენტი (3.8 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
  - ყირგიზეთი: 152.9 პროცენტი (1.5 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
  - ისრაელი: 19.1 პროცენტი (1.4 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
- წმინდა ფულადი გზავნილები შემცირდა:
  - რუსეთი: -65.2 პროცენტი (-17.5 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
  - ყაზახეთი: -57.4 პროცენტი (-2.0 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
  - ერაყი: -96.8 პროცენტი (-0.8 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)

წმინდა ფულადი გზავნილების წლიური ზრდა წყარო ქვეყნების მიხედვით




წყარო: სებ



# იანვარში რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 7.1 პროცენტით გაუფასურდა


ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი



რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



ვალუტების კურსები აშშ დოლართან მიმართებაში




შენიშვნა: ზრდა ნიშნავს გამყარებას

	1 მარტი, 2025		1 მარ 2025 - 1 იან 2025		1 მარ 2025 - 1 იან 2024
ევრო	2.9031	▲	0.9%	▲	2.5%
აშშ დოლარი	2.7904	▲	0.8%	▼	-3.6%
თურქული ლირა	0.0764	▲	4.2%	▲	19.1%
რუსული რუბლი	0.0316	▼	-18.2%	▼	-5.3%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	189.44	▼	-1.8%	▲	1.7%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (იანვარი 2025)	137.51	▼	-1.6%	▼	-7.4%


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ)

# თებერვალში საბადასახადო შემოსავლები 96.2 პროცენტით შესრულდა


ნაერთი ბიუჯეტის შესრულება, თებერვალი 2025




ნაერთი ბიუჯეტი, მლნ ლარი



გადასახადიდან მიღებული შემოსავალი, % წ/წ




ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები, მლნ ლარი




- 2025 წლის თებერვალში გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის ფაქტობრივმა მაჩვენებელმა შეადგინა 1,845 მლნ ლარი, რაც დაგეგმილი მაჩვენებლის 96.2%-იან შესრულებას გულისხმობს.
- 2025 წლის იანვარში, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები წლიურად გაიზარდა 4.6 პროცენტით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 12.6 პროცენტით.
- ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა 281.2 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო კი განისაზღვრა უარყოფითი -90.8 მლნ ლარით.
- 2025 წლის იანვარში, გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის წლიურ ზრდაზე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა იქონია საშემოსავლო და მოგების გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა, შესაბამისად 6.4 და 2.2 პროცენტის კონტრიბუციებით მთლიან ზრდაში.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი




საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი



ობლიგაციების ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი





ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით (28 თებერვალი)





- 2025 წლის თებერვალში ჩაგარდა 6 გამოშვებისა და 2 გაცვლის აუქციონი. სახაზინო ფასიანი ქაღალდების ჯამურმა გამოშვების მოცულობამ შეადგინა 369.32 მლნ ლარი.
- საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 8.453% შეადგინა.
- გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობისა და 3, 5, 7 და 11 წლის ნარჩენი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 237.52 მლნ ლარის მოცულობის სახაზინო ვალდებულებები.
- 2025 წლის 28 თებერვლისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის 43.1% ფორმირებულია იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა ღვება მომავალი 1-3 წლის განმავლობაში. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელში ასევე დიდი წილი უკავია 5 და მეტი წლის ვადიანობის მქონე ობლიგაციებს (დაახლოებით 29.3%).
- მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (იანვარი 1.97) შედარებით გაიზარდა და 2.22 შეადგინა.
- იანვარში სახაზინო ფასიანი ქაღალდების დარჩენილი საშუალო შეწონილი ვადიანობა უმნიშვნელოდ გაიზარდა და 3.6 წელი შეადგინა (იანვარი 3.53 წელი).

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

## სესხების ლარიზაცია




## დეპოზიტების ლარიზაცია




- 2025 წლის 31 იანვრის მდგომარეობით, მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 57.0 პროცენტს გაუგოლდა.
- ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 75.3 პროცენტი შეადგინა.
- იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ შეადგინა 36.6 პროცენტი.
- მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 45.8 პროცენტს უგოლდება.
- იურიდიული პირების დეპოზიტების ნაშთებზე ლარიზაცია 59.9 პროცენტს გაუგოლდა.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 32.9 პროცენტს შეადგენს.
- ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია შეადგენს 51.2 პროცენტს.
- მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია უგოლდება 42.3 პროცენტს უგოლდება.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 39.8 პროცენტს შეადგენს.

# ინფლაციის მონიტორინგის წლიური ზრდა გაიზარდა და კვლავ მაღალი ტემპით ხასიათდება


სესხების წლიური ზრდა, %



სესხების წლიური ზრდა, %




უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები, % წ/წ




- 2025 წლის 31 იანვრის მდგომარეობით, 2024 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 17.1 პროცენტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით).
- იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა 19.1 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 15.4 პროცენტს შეადგენს.
- 2025 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდის მნიშვნელობა 23.1 პროცენტს გაუგოლდა.
- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წლიური ზრდა 10.0 პროცენტს გაუგოლდა.
- 2025 წლის 31 იანვრის მდგომარეობით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 14.7 პროცენტი შეადგინა. ამასთან იპოთეკური სესხები, რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული 23.7, ხოლო იპოთეკური სესხები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, 6.7 პროცენტით გაიზარდა.

წყარო: სებ


დეპოზიტების წლიური ზრდა, %



დეპოზიტების წლიური ზრდა, %




დეპოზიტების წლიური ზრდა, %




- მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2025 წლის 31 იანვრის 2024 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 11.8 პროცენტს შეადგენს.
- ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა გაუგოლდა 7.5 პროცენტს, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა იმავე პერიოდში 15.4 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 13.2 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების ზრდის მნიშვნელობა 10.3 პროცენტს გაუგოლდა.
- მიმდინარე ანგარიშების წლიურმა ზრდამ 2025 წლის იანვრის ბოლოს შეადგინა -0.2 პროცენტი (კლება).
- ვადიანი დეპოზიტების ნაშთების წლიური ზრდა 23.8 პროცენტს გაუგოლდა.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდამ შეადგინა 5.8 პროცენტი.

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



სებ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ აშშ დოლარი



- საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მორიგი სხდომა 2025 წლის თებერვალში არ ჩატარებულა. შესაბამისად, მიმდინარე წლის თებერვალში მოქმედება რეფინანსირების 8 პროცენტიაანი განაკვეთი.


- სებ-ს მიხედვით, ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელზე (3 პროცენტი) დაბალია. ამის უმთავრესი მიზეზია საშინაო ფაქტორები, კერძოდ, ადგილობრივად წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების ფასების შედარებითი სიხისტე, მკაცრი მონეტარული პოლიტიკის ეფექტები და მაღალი ეკონომიკური აქტივობა. ასევე აღსანიშნავია, მოსალოდნელზე მეტად გაზრდილია ეკონომიკური აქტივობები, თუმცა პარალელურად მთლიანი ეკონომიკის წარმოების პოტენციალის ზრდა ინფლაციურ მოლოდინებს ამსუბუქებს. საგარეო ფაქტორებიდან ხაზგასასმელია გლობალური ეკონომიკური გაურკვეველობა და რეგიონალური გეოპოლიტიკური დაძაბულობა (უკრაინა, ახლო აღმოსავლეთი), რამაც შესაძლოა ინფლაციური წნეხი წარმოქმნას, მაღალ დონეზე რჩება. გარდა ამისა საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის, სურსათისა და ნედლეულის ფასების ზრდის ტენდენცია შეინიშნება, რაც იმპორტირებული პროდუქციის გაძვირების რისკს აჩენს და შესაბამისად ინფლაციურ რისკებს შეიცავს. მიმდინარე წლის თებერვალში ფაქტობრივმა ინფლაციამ 2.4 პროცენტი შეადგინა. ხაზგასასმელია, რომ 2024 წელს საშუალო წლიური ინფლაცია 1.1 პროცენტზე დაფიქსირდა.

- მონეტარული პოლიტიკის შემდეგი სხდომა 2025 წლის 12 მარტს ჩატარდება.



- საქართველოს ეროვნულ ბანკს თებერვალში სავალუტო ინტერვენციები არ განუხორციელებია.

# უშედეგო საბაზრო საპროცენტო განაკვეთებმა სესხებზე ეროვნულ ვალუტაში ზრდა განიცადა

საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე



საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე



- 2025 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 2.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით 10.2 პროცენტს.
- იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 10.4 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით 3.0 პროცენტს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 2.4 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 10.1 პროცენტს (ზრდა) შეადგენს.
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 12.4 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 15.6 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.5 პროცენტს).
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე 15.9 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 16.7 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 7.7 პროცენტს).
- იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2025 წლის იანვრის ბოლოს 12.6 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით 9.3 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 12.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 7.7 პროცენტი.

წყარო: სეზ



## საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

საქართველო, თბილისი 0105, გორგასლის ქუჩა N16

ცხელი ხაზი: (995 32) 2 261 407

ელ. ფოსტა: [info@mof.ge](mailto:info@mof.ge); [www.mof.ge](http://www.mof.ge)



საქართველოს ფინანსთა  
სამინისტრო